საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

№1/250 2016 წლის 12 სექტემბერი ქ. თბილისი

საერთო სასამართლოების მიერ სასამართლო გადაწყვეტილებების გაცემისა და გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ

1. „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/208-2007 გადაწყვეტილებით დამტკიცებული საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-9 მუხლის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დამტკიცდეს „საერთო სასამართლოების მიერ სასამართლო გადაწყვეტილებების გაცემისა და გამოქვეყნების წესი“ თანდართული სახით.

2. „საერთო სასამართლოების მიერ სასამართლო გადაწყვეტილებების გაცემისა და გამოქვეყნების წესი“, გარდა ამ წესის მე-9 მუხლისა, ამოქმედდეს 2017 წლის 1 იანვრიდან. აღნიშნული წესის მე-9 მუხლი ამოქმედდეს 2016 წლის 18 ოქტომბრიდან. *(17.10.2016 N1/260)*

3. „საერთო სასამართლოების მიერ სასამართლო გადაწყვეტილებების გაცემისა და გამოქვეყნების წესის“ ამოქმედებამდე უზრუნველყოფილ იქნეს საერთო სასამართლოების შესაბამის მოსამსახურეთა გადამზადების მიზნით საჭირო ტრენინგების ჩატარება.

4. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

ლევან მურუსიძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი

დამტკიცებულია
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
2016 წლის 12 სექტემბრის №1/250 გადაწყვეტილებით

საერთო სასამართლოების მიერ სასამართლო გადაწყვეტილებების
გაცემისა და გამოქვეყნების წესი

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. მოქმედების სფერო

1. ეს წესი არეგულირებს სასამართლო გადაწყვეტილებების გაცემასა და გამოქვეყნებასთან, ასევე ამ პროცესში პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს, სასამართლო გადაწყვეტილებების გაცემასა და გამოქვეყნებაზე უფლებამოსილ პირთა უფლება-მოვალეობებს. 2. ამ წესის მოქმედება ვრცელდება რაიონული (საქალაქო)

და სააპელაციო სასამართლოების, ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების მიმართ.

თავი II
სასამართლო გადაწყვეტილების გაცემა

მუხლი 2. განცხადება სასამართლო გადაწყვეტილების ასლის გაცემის თაობაზე

1. ყველას აქვს უფლება კანონით დადგენილი წესით მიიღოს ღია სასამართლო სხდომაზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების ასლი, ხოლო დახურული სხდომის შემთხვევაში - სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი.

2. სასამართლო გადაწყვეტილება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს როგორც წერილობითი, ასევე ელექტრონული ფორმით.

3. წერილობითი ან ელექტრონული ფორმით წარდგენილი განცხადება რეგისტრირდება მიღების დღესვე, რეგისტრაციის თარიღისა და საათის მითითებით.

4. განცხადება უნდა შეიცავდეს განმცხადებლის ვინაობას, მისამართს, საკონტაქტო ინფორმაციას, მოთხოვნას, თარიღსა და ხელმოწერას. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი ამოწმებს განცხადების კანონით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას.

5. სასამართლო გადაწყვეტილების იდენტიფიცირების ხელშეწყობის მიზნით, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი უფლებამოსილია განმცხადებელს მოსთხოვოს საქმის ნომრის ან/და დავის საგნის შესახებ ინფორმაციის, ასევე სხვა ნებისმიერი ინფორმაციის წარდგენა, რაც აუცილებელია საკითხის გადასაწყვეტად. ამ შემთხვევაში საჯარო ინფორმაცია უნდა გაიცეს განცხადების წარდგენიდან არაუგვიანეს 10 დღისა.

6. სასამართლო გადაწყვეტილებების ერთიან რეესტრში გადაწყვეტილების ელექტრონული სახით გამოქვეყნება არ ათავისუფლებს სასამართლოს დადგენილი წესით სასამართლო გადაწყვეტილების გაცემის ვალდებულებისგან.

მუხლი 3. უარი სასამართლო გადაწყვეტილების ასლის გაცემაზე

1. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი უფლებამოსილია უარი თქვას სასამართლო გადაწყვეტილების გაცემაზე, თუ იგი შეიცავს სახელმწიფო, კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოებას.

2. სასამართლო გადაწყვეტილებაში პერსონალური მონაცემების დამუშავების საკითხი რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

3. თუ სასამართლო გადაწყვეტილებაში პერსონალური მონაცემების დამუშავება იწვევს გადაწყვეტილების ისეთი სახით ფორმირებას, რაც განმცხადებელს ართმევს სასურველი მიზნით მისი გამოყენების შესაძლებლობას, სასამართლო გადაწყვეტილების გაცემის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება განმცხადებელთან შეთანხმებით.

4. თუ განცხადებაში მითითებული მოთხოვნა იძლევა პროცესის მონაწილეთა პირდაპირი ან არაპირდაპირი ფორმით იდენტიფიცირების შესაძლებლობას, განმცხადებელს უარი ეთქმება სასამართლო გადაწყვეტილების გაცემაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა არსებობს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი საფუძველი.

5. გადაწყვეტილება სასამართლო გადაწყვეტილების გაცემაზე უარის თქმის შესახებ გამოიცემა წერილობითი ფორმით და უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას. გადაწყვეტილებაში უნდა მიეთითოს უარის თქმის საფუძვლები და გასაჩივრების წესი. სასამართლო გადაწყვეტილების გაცემისთვის დადგენილი ვადის დარღვევა ჩაითვლება მის გაცემაზე უარის თქმად.

6. უარი სასამართლო გადაწყვეტილების გაცემაზე შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ თანამდებობის პირთან ან სასამართლოში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი III
სასამართლო გადაწყვეტილების გამოქვეყნება

მუხლი 4. სასამართლო გადაწყვეტილებების ერთიანი რეესტრი

1. სასამართლო გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის მიზნით იქმნება სასამართლო გადაწყვეტილებების ერთიანი რეესტრი (შემდგომში - რეესტრი). რეესტრის ელექტრონული მისამართია: info.court.ge.

2. რეესტრში განთავსდება რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოების, ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებები.

3. რეესტრში სასამართლო გადაწყვეტილებები განთავსდება როგორც პერსონალურ მონაცემთა დაცვით, ასევე პერსონალურ მონაცემთა დაცვის გარეშე.

4. რეესტრის მონაცემთა ბაზა შედგება სამი ნაწილისგან: სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის საქმეები. საძიებო სისტემა უზრუნველყოფს სასამართლო გადაწყვეტილებათა ძებნას შემდეგი მონაცემების მიხედვით:

ა) გადაწყვეტილების მიმღები სასამართლო, საქმის ნომერი, მიღების თარიღი, ადმინისტრაციული ორგანო, მოსამართლე, სასამართლო კოლეგიის ან პალატის შემადგენლობა;

ბ) დავის საგანი, საგნობრივი საძიებო სიტყვა, გამოყენებული ნორმები.

5. რეესტრში სასამართლო გადაწყვეტილებები უნდა განთავსდეს იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს მათი კოპირება, ჩამოტვირთვა, სრულყოფილად ბეჭდვა.

6. რეესტრის ვებ-გვერდის მართვასა და გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტი.

7. რეესტრის მართვაზე პასუხისმგებელი პირის ვინაობა, სამსახურებრივი მისამართი და საკონტაქტო ინფორმაცია საჯაროა.

მუხლი 5. სასამართლო გადაწყვეტილებების ერთიან რეესტრში განთავსების წესი

1. რეესტრში სასამართლო გადაწყვეტილებები განთავსდება პერსონალური მონაცემების დაცვისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

2. სასამართლო გადაწყვეტილებაში არსებული პერსონალური მონაცემების სისწორესა და დაცვაზე, ასევე რეესტრში სასამართლო გადაწყვეტილებების განთავსებაზე პასუხისმგებელია სასამართლოს შესაბამისი მოსამსახურე (მოსამართლე ან/და მოსამართლის თანაშემწე).

3. საგნობრივი საძიებო სიტყვის მითითებას უზრუნველყოფს მოსამართლე.

4. რეესტრში სასამართლო გადაწყვეტილებები განთავსდება სასამართლოს მიერ დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარეთათვის გაგზავნიდან არაუგვიანეს 1 თვისა.

მუხლი 6. მონაცემები, რომლებიც არ გამოქვეყნდება

1. რეესტრში განთავსებულ სასამართლო გადაწყვეტილებაში არ აღინიშნება პირის მაიდენტიფიცირებელი შემდეგი მონაცემები:

ა) ფიზიკური პირის სახელი, გვარი, მამის სახელი, დაბადების თარიღი, მისამართი, საკონტაქტო ინფორმაცია, სამუშაო ადგილი, სამუშაო ადგილის მისამართი;

ბ) იურიდიული პირის სახელწოდება, საიდენტიფიკაციო კოდი და იურიდიული მისამართი;

გ) სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო ნომერი;

დ) სხვა ინფორმაცია, რომელიც იძლევა პირდაპირი ან არაპირდაპირი ფორმით პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობას.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მონაცემები სასამართლო გადაწყვეტილებაში მიეთითება ლიტერული ან ციფრული აღნიშვნებით. აღნიშნული წესი არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, როცა არსებობს პირის თანხმობა პერსონალური მონაცემების გასაჯაროების შესახებ.

3. სასამართლო გადაწყვეტილებაში მიეთითება:

ა) გადაწყვეტილების მიმღები სასამართლოს შემადგენლობა;

ბ) ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება.

მუხლი 7. რეესტრში განთავსებული სასამართლო გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობა

1. რეესტრში პერსონალური მონაცემების დაფარვით განთავსებული სასამართლო გადაწყვეტილებები ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. რეესტრით სარგებლობა უსასყიდლოა.

2. დაუშვებელია რეესტრით სარგებლობის უფლების შეზღუდვა, გარდა ტექნიკური ხარვეზით გამოწვეული შემთხვევებისა.

3. რეესტრში პერსონალური მონაცემების დაფარვის გარეშე განთავსებული სასამართლო გადაწყვეტილებები ხელმისაწვდომია მხოლოდ მოსამართლისათვის, თუ ისინი უშუალო კავშირშია მის წარმოებაში არსებულ კონკრეტულ საქმესთან.

4. მოსამართლისათვის სასამართლო გადაწყვეტილებაში აღნიშნული იმ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, რომელიც სახელმწიფო საიდუმლოებას შეიცავს, წესრიგდება „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით.

მუხლი 8. რეესტრში განთავსებული სასამართლო გადაწყვეტილებების დაცვა

1. რეესტრში განთავსებული მონაცემების უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელია სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტი.

2. დაუშვებელია სასამართლო გადაწყვეტილებების რეესტრიდან ამოღება.

3. დაუშვებელია რეესტრში განთავსებულ გადაწყვეტილებებში ცვლილებების შეტანა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საკითხი ეხება ტექნიკური ხასიათის შეცდომას. ამ

შემთხვევაში აუცილებელია სასამართლო გადაწყვეტილების პირველადი სახის შენარჩუნება.

მუხლი 9. საჯარო შეტყობინების გამოქვეყნების წესი

1. სასამართლოს განჩინება საჯარო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ განთავსდება შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე და სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.geocourts.ge.

2. საჯარო შეტყობინების ჩაბარების კანონით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული სასამართლოს განჩინება არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი.

მუხლი 10. სასამართლო გადაწყვეტილებების გამოქვეყნება პერიოდულ გამოცემებში

1. რეესტრში განთავსებული სასამართლო გადაწყვეტილებები შეიძლება გამოქვეყნდეს პერიოდულ გამოცემებში.

2. რეესტრში განთავსებული და პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებული სასამართლო გადაწყვეტილების ტექსტებს შორის წინააღმდეგობის არსებობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება რეესტრში დაცულ მონაცემებს.